

შპს საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული
ფინანსური ანგარიშგება და მასზე გაცემული დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	7
სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	8
საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	9
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	10
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	11
1. კომპანია და მისი საქმიანობა	11
2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა	23
4. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები.....	23
5. ძირითადი საშუალებები	27
6. არამატერიალური აქტივები	28
7. მარაგები	28
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	28
9. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	29
10. სესხები.....	29
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
12. ამონაგები	30
13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	31
14. სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	31
15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები	31
16. ფინანსური რისკების მართვა	32
17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	36
18. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები	36
19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	36
20. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები.....	37
მმართველობითი ანგარიშგება	39

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ დამფუძნებლებსა და ხელმძღვანელობას:

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგების აუდიტზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ განვახორციელეთ შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრის“ (შემდგომში, „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებისგან, ასევე, ახსნა-განმარტებითი შენიშვნებისგან, რომელიც შეიცავს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა ახსნა-განმარტებით ინფორმაციას.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველზე“- აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე, მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას აღნიშნული თარიღით დასრულებული წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

სასაქონლო მატერიალური მარაგების საწყისი ნაშთები - ჩვენ აუდიტორებად დავგნიშნეს 2024 წლის 1 თებერვალს და ამიტომ ვერ დავაკვირდით 2022 წლის დასაწყისში და ბოლოს ჩატარებულ მარაგის ინვენტარიზაციას. ვერ დავრწმუნდით 2022 წლის 31 დეკემბრის და 1 იანვრის მდგომარეობით მდგომარეობით არსებული მარაგის რაოდენობის სისწორეში სხვა აუდიტის პროცედურების ჩატარებითაც. ვინაიდან მარაგის საწყისი ნაშთი მონაწილეობს ფინანსური შედეგების განსაზღვრაში, ვერ შევძელით იმის დადგენა, აუცილებელი იქნებოდა თუ არა 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგების ნაშთის, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილი 2023 წლის მარაგების ხარჯების ამსახველი თანხებისა და შესაბამისად წლიური შედეგების კორექტირება, რის გამოც მოდიფიცირებულია ჩვენი მოსაზრება მიმდინარე პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაზე, ამ საკითხის შესაძლო გავლენის გამო.

ძირითადი საშუალებების ისტორიული ღირებულება - ჩვენ ვერ შევძელით საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულების მოპოვება კომპანიის ძირითად საშუალებების ნაწილის საბალანსო ღირებულებაზე. ამ აქტივების დეტალები მოცემული ქვემოთ ცხრილში:

	მანქანა- დანადგარები	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ისტორიული ღირებულება:				
2021 წლის 31 დეკემბერი	2,350	256	155	2,761
2022 წლის 31 დეკემბერი	2,350	256	155	2,761
2023 წლის 31 დეკემბერი	2,350	256	155	2,761
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება:				
2021 წლის 31 დეკემბერი	1,052	162	34	1,248
წლის ცვეთა	52	42	23	117
2022 წლის 31 დეკემბერი	1,104	204	57	1,365
წლის ცვეთა	94	52	22	168
2023 წლის 31 დეკემბერი	1,198	256	79	1,533
საბალანსო ღირებულება:				
2021 წლის 31 დეკემბერი	1,298	94	121	1,513
2022 წლის 31 დეკემბერი	1,246	52	98	1,396
2023 წლის 31 დეკემბერი	1,152	-	76	1,228

ამიტომ ვერ განვსაზღვრეთ, აუცილებელი იყო თუ არა რაიმე კორექტირებების შეტანა ძირითადი საშუალებების ზემოაღნიშნულ თანხებში და მასთან დაკავშირებულ ფინანსურ ანგარიშგების სხვა ელემენტებში.

2023 წლის 1 იანვრამდე არამონეტარული აქტივების საწარმოს კაპიტალში შეტანის ოპერაციების ასახვა - კომპანიის ერთადერთი დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი არის შპს აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია. 2023 წელს და გასული პერიოდის განმავლობაში დამფუძნებელი ახდენდა კომპანიის კაპიტალში ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების შემოტანას. ფასს-ების შესაბამისად ასეთი ოპერაციები უნდა იქნას ასახული ფასს -13 სამართლიანი ღირებულების შესაბამისად გამოთვლილ აქტივის სამართლიანი ღირებულებით. 2022 წლის 1 იანვრამდე აქტივის შენატანის საფუძველზე კაპიტალის ზრდა ხორციელდებოდა აქტივის გარკვეული ნომინალური ღირებულებით. აქტივის ღირებულება გაანგარიშება არ შეესაბამებოდა ფასს -13 შესაბამისად განსაზღვრულ სამართლიან ღირებულებას. ფასს 13 შეფასებული აქტივის სამართლიან ღირებულებასა და გამოცხადებული კაპიტალის ცვლილების თანხას შორის სხვაობა უნდა ასახულიყო განცალკევებული კაპიტალის მუხლის (დეფიციტის ან რეზერვის) სახით. ასეთი აქტივის კაპიტალიდან გატანის შემთხვევაში უნდა შემცირებულიყო, როგორც გამოცხადებული კაპიტალი ასევე დამატებითი კაპიტალის შესაბამისი ნაწილი. ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ რა თანხებით უნდა ასახული 2022 წლის 1 იანვრამდე მომხდარი არამონეტარული აქტივების შეტანით განმხორციელებული კაპიტალის ცვლილების ოპერაციები, შედეგად ვერ განვსაზღვრეთ რა ნაშთის სახით უნდა ყოფილიყო ასახული განცალკევებული კაპიტალის მუხლის (დეფიციტის ან რეზერვის) სახით 2022 წლის 1 იანვარს.

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობა აღწერილია დასკვნის ნაწილში - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებელი, რაც გულისხმობს შესაბამისობას „ბუღალტერთა ეთიკის სტანდარტების საერთაშორისო საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალ ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის“ მოთხოვნებთან და ამასთანავე, ვასრულებთ ამავე კოდექსით განსაზღვრულ სხვა ეთიკურ ვალდებულებებს. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და

შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მნიშვნელოვანი გარემოებათა ამსახველი აბზაცი

ყურადღებას ვამახვილებთ ფინანსური ანგარიშგების 2.2 შენიშვნაზე - წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, სადაც აღწერილია, მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას წინა პერიოდის ციფრების ჩასწორების დეტალები. ჩვენ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე 2.2 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის შესწორებების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების შესადარისი ციფრების შესწორებისთვის. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენი მოსაზრება არ არის მოდიფიცირებული ამ გარემოებებთან მიმართებაში.

სხვა გარემოებები

კომპანიის 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩაატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც უარყოფითი მოსაზრება გამოთქვა ამ ანგარიშგების შესახებ 2023 წლის 24 ნოემბერს. უარყოფითი მოსაზრების საფუძველს წარმოადგენდა რამოდენიმე საკითხი, ამ საკითხთანავე მოუგვარებელი დარჩა ძირითადი საშუალებების ღირებულების დადასტურების საკითხი 2023 წლის 1 იანვრამდე არამონეტარული აქტივების საწარმოს კაპიტალში შეტანის ოპერაციების ასახვა. ამ საკითხის გავლენის დეტალები მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაზე და მასზე გაცემულ ჩვენ აუდიტის მოსაზრებაზე მოცემულია პირობითი მოსაზრების საფუძვლის ნაწილში.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის 2024 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), რომელიც აკნტულია წინამდებარე აუდიტის დასვენასა ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 37-ე გვერდის შემდეგ, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოთ აღნიშნულ სხვა ინფორმაციას და გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში გაცემული დასკვნისა, არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

გარდა ქვემოთ - „დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელი მოთხოვნები“ - ნაწილში აღწერილი საკანონმდებლო მოთხოვნისა, ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან, სხვა მხრივ, ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემო აღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში ასახული შემდგომი გამო ჩვენ ვერ შევძელით დასკვნის გამოტანა იმის თაობაზე, ზემოაღნიშნული სხვა ინფორმაცია შეიცავს თუ არა არსებით უზუსტობას ამ მიმართებით, გარდა ამისა ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც უტყუარად და სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე, შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც

დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არ აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები, შეიძლება, გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განხილვის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომებით გამოწვეულ ფინანსურ ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა, შეიძლება, გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის უგულებელყოფას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება, ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით, შეიძლება, კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვანვლით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე, აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

- ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადაეცემათ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დაფიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განესაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2024 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 37-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სიროთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.

ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

25 ოქტომბერი, 2024 წელი

თბილისი, საქართველო

- ამასთან, მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს გადაეცემა დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება, მიჩნეულიყო, რომ დაკავშირებულია ჩვენს დამოუკიდებლობასთან, ასევე, შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, აუცილებლობის შემთხვევაში.
- მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის ინფორმირებული საკითხებიდან განესაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჭაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადაწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვანვლით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებლო მოთხოვნებზე

საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვისა, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ (შემდგომ ტექსტში კანონი) ჯგუფის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ჩვენთვის წარდგენილ 2024 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებულ მმართველობით ანგარიშგებაზე (საქმიანობის მიმოხილვა), რომელიც აკინძულია წინამდებარე აუდიტის დასკვნასა და ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად 37-ე გვერდის შემდეგ. კანონის შესაბამისად, ჩვენი პასუხისმგებლობაა, ჩატარებული პროცედურების საფუძველზე, გამოვთქვათ მოსაზრება საქმიანობის მიმოხილვის ანგარიშის კანონის მე-7 მუხლთან შესაბამისობაზე.

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნის - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“- ნაწილში აღწერილ საკითხთა გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, მმართველობით ანგარიშგების (საქმიანობის მიმოხილვის) კანონით განსაზღვრული ნაწილები, კომპანიის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, შეესაბამება კანონის მე-7 მუხლის მოთხოვნებს, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით.

ივანე ჯელია წარმოადგენს პარტნიორს იმ აუდიტის გარიგებაზე, რომელზედაც გაიცა წინამდებარე აუდიტის დასკვნა.


ივანე ჯელია (აუდიტორის სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-954810)

მმართველი პარტნიორი

შპს ბეიკერ ტილი ჯორჯია

25 ოქტომბერი, 2024 წელი

თბილისი, საქართველო



ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 (ჩასწორებული)	01.01.2022 (ჩასწორებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	4,746	5,593	4,817
არამატერიალური აქტივები	6	9	9	10
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,755	5,602	4,827
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	5,572	2,801	511
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	380	318	348
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	396	1,703	2,222
წინასწარ გადახდილი გადასახადები		551	418	330
გადახდილი ავანსები		191	317	51
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,090	5,557	3,462
სულ აქტივები		11,845	11,159	8,289
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი		4,518	4,472	15,931
გადაფასების რეზერვი		781	781	781
კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა რეზერვები (შენიშვნა 3.3)		-	-	(11,459)
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		11	(532)	1,830
სულ საკუთარი კაპიტალი		5,310	4,721	7,083
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	-	857	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	857	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	5,389	4,499	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	1,146	1,082	1,206
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,535	5,581	1,206
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		11,845	11,159	8,289

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ვახტანგ ბეთლემიძე

ირინა ჩაგელიშვილი

გენერალური დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
ამონაგები	12	11,710	2,699
წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(6,599)	(1,542)
საერთო/საოპერაციო შემოსავალი		5,111	1,157
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	13	(2,446)	(2,415)
რემონტის ხარჯები		(205)	(109)
ცვეთა და ამორტიზაცია		(161)	(159)
საწვავი და ტრანსპორტის ხარჯები		(50)	(61)
საგადასახადო ხარჯები		(44)	(35)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(18)	(112)
საკონსულტაციო ხარჯები		-	(9)
სხვა საერთო ხარჯები		(199)	(267)
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოფასებიდან		(906)	-
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	14	18	(30)
საპროცენტო ხარჯი (ნეტო)		(640)	(311)
საკურსო სხვაობით გამონვლეული მოგება/(ზარალი) (ნეტო)		83	(11)
წლის წმინდა მოგება		543	(2,362)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		543	(2,362)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ვახტანგ ბეთლემიძე
 გენერალური დირექტორი

ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა რეზერვები (შენიშვნა 3.3)	დაგროვილი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	15,931	(11,459)	1,830	781	7,083
ცვლილება კაპიტალში წლის ზარალი	(11,459)	11,459	-	-	-
	-	-	(2,362)	-	(2,362)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	4,472	-	(532)	781	4,721
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	4,472	-	(532)	781	4,721
ცვლილება კაპიტალში წლის შემოსავალი	46	-	-	-	46
	-	-	543	-	543
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,518	-	11	781	5,310

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ვახტანგ ბეთლემიძე
 გენერალური დირექტორი

ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	11,729	2,698
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(10,374)	(5,436)
მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,095)	(1,879)
ოპერირებისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(740)	(4,617)
საოპერაციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(740)	(4,617)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(828)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო	-	(828)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება	1,214	5,045
სესხის ძირის გადახდა	(1,818)	-
ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(604)	5,045
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(1,344)	(400)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,703	2,222
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებზე	37	(119)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	396	1,703

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ვახტანგ ბეთლემიძე
 გენერალური დირექტორი

ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022 (რასწორებული)	01.01.2022 (რასწორებული)
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	5	4,746	5,593	4,817
არამატერიალური აქტივები	6	9	9	10
სულ გრძელვადიანი აქტივები		4,755	5,602	4,827
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	7	5,572	2,801	511
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8	380	318	348
ფული და ფულის ეკვივალენტები	9	396	1,703	2,222
წინასწარ გადახდილი გადასახადები		551	418	330
გადახდილი ავანსები		191	317	51
სულ მოკლევადიანი აქტივები		7,090	5,557	3,462
სულ აქტივები		11,845	11,159	8,289
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
საკუთარი კაპიტალი				
განთავსებული კაპიტალი		4,518	4,472	15,931
გადაფასების რეზერვი		781	781	781
კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა რეზერვები (შენიშვნა 3.3)		-	-	(11,459)
გაუნაწილებელი მოგება/(დაუფარავი ზარალი)		11	(532)	1,830
სულ საკუთარი კაპიტალი		5,310	4,721	7,083
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	10	-	857	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	857	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	10	5,389	4,499	-
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11	1,146	1,082	1,206
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		6,535	5,581	1,206
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		11,845	11,159	8,289

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ვახტანგ ბეთელმიძე
გენერალური დირექტორი

ი. ჩაგელიშვილი


ირინა ჩაგელიშვილი
მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2023 დასრულებული წლისთვის	31.12.2022 დასრულებული წლისთვის (ჩასწორებული)
ამონაგები	12	11,710	2,699
წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(6,599)	(1,542)
საერთო/საოპერაციო შემოსავალი		5,111	1,157
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	13	(2,446)	(2,415)
რემონტის ხარჯები		(205)	(109)
ცვეთა და ამორტიზაცია		(161)	(159)
საწვავი და ტრანსპორტის ხარჯები		(50)	(61)
საგადასახადო ხარჯები		(44)	(35)
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები		(18)	(112)
საკონსულტაციო ხარჯები		-	(9)
სხვა საერთო ხარჯები		(199)	(267)
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოფასებიდან		(906)	-
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	14	18	(30)
საპროცენტო ხარჯი (ნეტო)		(640)	(311)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი) (ნეტო)		83	(11)
წლის წმინდა მოგება		543	(2,362)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		543	(2,362)

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და
ხელმოწერილია 2024 წლის 25 ოქტომბერს.


ვახტანგ ბეთილემიძე
გენერალური დირექტორი


ირინა ჩაგელიშვილი
მთავარი ბუღალტერი


შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

საკუთარ კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	განთავსებული კაპიტალი	კაპიტალის მოდრობასთან დაკავშირებუ ლი სხვა რეზერვები (შენიშვნა 3.3)	დაგროვილი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (რასწორებული)	15,931	(11,459)	1,830	781	7,083
ცვლილება კაპიტალში წლის ზარალი	(11,459)	11,459	-	-	-
	-	-	(2,362)	-	(2,362)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (რასწორებული)	4,472	-	(532)	781	4,721
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (რასწორებული)	4,472	-	(532)	781	4,721
ცვლილება კაპიტალში	46	-	-	-	46
წლის შემოსავალი	-	-	543	-	543
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,518	-	11	781	5,310

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და
 ხელმოწერილ იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ვახტანგ ბეთლემიძე
 გენერალური დირექტორი




ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2023 დასრულებული წლისათვის	31.12.2022 დასრულებული წლისათვის
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები	11,729	2,698
მომწოდებლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები (დაკავშირებული გადასახადების ჩათვლით)	(10,374)	(5,436)
მომუშავეებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2,095)	(1,879)
ოპერირებისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(740)	(4,617)
საოპერაციო საქმიანობისათვის გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები	(740)	(4,617)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(828)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული ნეტო	-	(828)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		
სესხის მიღება	1,214	5,045
სესხის ძირის გადახდა	(1,818)	-
ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ნეტო ფულადი სახსრები	(604)	5,045
ფულადი სახსრებისა და მისი ეკვივალენტების ნეტო ზრდა/(შემცირება)	(1,344)	(400)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,703	2,222
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით გამოწვეული შედეგი ფულად სახსრებზე	37	(119)
ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები წლის ბოლოს	396	1,703

კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დამტკიცებულია და ხელმოწერილი იქნა 2024 წლის 25 ოქტომბერს.


 ვახტანგ ბეთლემიძე
 გენერალური დირექტორი


 ირინა ჩაგელიშვილი
 მთავარი ბუღალტერი

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 1995 წლის 25 მაისს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 204862372.

კომპანიის დამფუძნებელი და 100%-იანი წილის მფლობელი 2023 წლის 31 დეკემბრის, 2022 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შპს „აქტივების მართვის და განვითარების კომპანია“. საბოლოო მესაკუთრეს წარმოადგენს სახელმწიფო.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა იზოტოპების წარმოება. დამატებით კომპანია მომხმარებლებს სთავაზობს ანალიტიკურ მომსახურებას, რომელიც გულისხმობს შუალედურ და მზა პროდუქტებში იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრას მასექტომეტრული მეთოდით. ცენტრის მიერ წარმოებული პროდუქციის და სერვისების მომხმარებლები ძირითადად მედიცინის, ბირთვული ტექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის და სოფლის მეურნეობის სექტორების წარმომადგენლები არიან.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: ვაკის რაიონი, ქავთარაძის ქ. N21, თბილისი, საქართველო. კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს მის რეგისტრაციის მისამართზე.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა ცალკეული ფინანსური ანგარიშგების ელემენტების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

2.1 მომზადების საფუძველი.

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს-ები) შესაბამისად ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით. ის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელიც გამოყენებული იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, ქვემოთ არის წარმოდგენილი. სააღრიცხვო პოლიტიკა თანმიმდევრულად არის გამოყენებული ყველა წარმოდგენილი პერიოდის მიმართ.

2.2 წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება

მიმდინარე წლის ფინანსური ანგარიშგების წარმოებისას კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის ციფრების ჩასწორება, თუმცა წინა პერიოდის - 2022 წლის 31 დეკემბრის და ამ პერიოდით დამთავრებული წლის ფინანსური ანგარიშგება არ ჩასწორებულა და მასზე აუდიტის დასკვნა ხელახლა არ გაცემულა. კომპანიის ფულადი ნაკადები ანგარიშგება წარდგენილი იყო არაპირდაპირო მეთოდით ხოლო მიმდინარე წლის ფინანსურ ანგარიშგებაში იგი წარდგენილია პირდაპირი მეთოდით, რის გამო შედარების ინფორმაცია არ არის წარდგენილი ქვემოთ. ჩასწორების დეტალები მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	31.12.2022 (ჩასწორებული)	შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია	31.12.2022 (ჩასწორებამდე)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5,593	347	5,246
არამატერიალური აქტივები	9	-	9
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,602	347	5,255
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	2,801	44	2,757
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	318	309	9
ფული და ფულის ეკვივალენტები	1,703	-	1,703
წინასწარ გადახდილი გადასახადები	418	(242)	660
გადახდილი ავანსები	317	47	270
სულ მოკლევადიანი აქტივები	5,557	158	5,399
სულ აქტივები	11,159	505	10,654
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი	4,472	-	4,472
გადაფასების რეზერვი (განმარტება 3)	781	470	311
დაუფარავი ზარალი	(532)	433	(965)
სულ საკუთარი კაპიტალი	4,721	903	3,818
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	857	57	800
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	857	57	800
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	4,499	(57)	4,556
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,082	(398)	1,480
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	5,581	(455)	6,036
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	11,159	505	10,654

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	01.01.2022 (ჩასწორებული)	შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია	01.01.2022 (ჩასწორებამდე)
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4,817	165	4,652
არამატერიალური აქტივები	10	(2)	12
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,827	163	4,664
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები (განმარტება 1)	511	(1,771)	2,282
სავაჭრო დებიტორული დავალიანება და სხვა მოთხოვნები	348	96	252
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,222	-	2,222
წინასწარ გადახდილი გადასახადები	330	(242)	572
გადახდილი ავნსები	51	(38)	89
სულ მოკლევადიანი აქტივები	3,462	(1,955)	5,417
სულ აქტივები	8,289	(1,792)	10,081
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი			
განთავსებული კაპიტალი	15,931	-	15,931
გადაფასების რეზერვი (განმარტება 3)	781	781	-
კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა რეზერვები (განმარტება 2)	(11,459)	(11,459)	-
დაუფარავი ზარალი (განმარტება 1) (განმარტება 2)	1,830	9,220	(7,390)
სულ საკუთარი კაპიტალი	7,083	(1,458)	8,541
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	1,206	(334)	1,540
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,206	(334)	1,540
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი	8,289	(1,792)	10,081

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	31.12.2022 (ჩასწორებული)	შეცდომის გასწორება და რეკლასიფიკაცია	31.12.2022 (ჩასწორებამდე)
ამონაგები	2,699	54	2,645
წარმოებული და რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1,542)	(55)	(1,487)
საერთო/საოპერაციო შემოსავალი	1,157	(1)	1,158
საოპერაციო ხარჯები	-	5,130	(5,130)
არასაოპერაციო შემოსავალი /(ხარჯი), წმინდა (განმარტება 2)	-	(11,362)	11,362
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(2,415)	(2,415)	-
რემონტის ხარჯები	(109)	(109)	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(159)	(159)	-
საწვავი და ტრანსპორტის ხარჯები	(61)	(61)	-
საგადასახადო ხარჯები	(35)	(35)	-
კომუნალური და კომუნიკაციის ხარჯები	(112)	(112)	-
საკონსულტაციო ხარჯები	(9)	(9)	-
სხვა საერთო ხარჯები	(267)	(267)	-
ზარალი ძირითადი საშუალებების ჩამოფასებიდან	-	538	(538)
სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	(30)	(30)	-
საპროცენტო შემოსავალი/(ხარჯი)	(311)	-	(311)
საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება/(ზარალი) (ნეტო)	(11)	105	(116)
წლის წმინდა მოგება	(2,362)	(8,787)	6,425
სხვა სრული შემოსავალი			
მოგება ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან	-	(311)	311
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	(2,362)	(9,098)	6,736

ჩასწორებამდე წარდგენილი საკუთარი კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება:

	კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებამდე)	15,931	(7,390)	-	8,541
ცვლილება კაპიტალში	(11,459)	-	-	(11,459)
გადაფასების რეზერვი	-	-	311	311
წლის ზარალი	-	6,425	-	6,425
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჩასწორებამდე)	4,472	(965)	311	3,818

ჩასწორების შემდეგ წარდგენილი საკუთარი კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება:

	კაპიტალი	კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა რეზერვები (შენიშვნა 3.3)	დაგროვილი ზარალი	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	15,931	(11,459)	1,830	781	7,083
ცვლილება კაპიტალში წლის ზარალი	(11,459) -	11,459 -	- (2,362)	- -	- (2,362)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ჩასწორებული)	4,472	-	(532)	781	4,721

განმარტება 1 - კომპანიას ჩასწორების ფარგლებში განახორციელა სასაქონლო მარაგების გაუფასურების ტესტირება და აღიარა გაუფასურება ზარალი.

განმარტება 2 - ახსნა განმარტებით შენიშვნა ნომერ 3.3 მოცემული ოპერაცია შედეგები ამოიღო 2022 მოგება ზარალის ანგარიშებიდან და 2022 წლის 1 იანვარის გაუნაწილებელი მოგებიდან.

განმარტება 3 - კომპანიამ მოახდინა ცალკეული ჯგუფის გადაფასება და აღიარე გადაფასების რეზერვი.

სხვა ცვლილებები გამოწვეულია უმნიშვნელო ჩასწორებებით და წარდგენის მიზნით რეკლასიფიკაციებით.

2.3 წარსადგენი ვალუტა.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხები წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ იქნება მითითებული.

2.4 ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც ერთი სანარმოსთვის წარმოშობს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორესთვის - ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია თავდაპირველი აღიარებისას დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და მათ სამართავად კომპანიის ბიზნეს მოდელზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანების გარდა, რომელიც არ მოიცავს მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს ან რომლისთვისაც კომპანია პრაქტიკულ გამოცდილებას იყენებს, კომპანია ფინანსურ აქტივებს თავდაპირველად აფასებს მისი სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება გარიგების დანახარჯები იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური აქტივი არ არის სამართლიანი ღირებულებით შეფასებული მოგებაში ან ზარალში ასახვით. სავაჭრო მოთხოვნა, რომლებიც არ შეიცავს დაფინანსების მნიშვნელოვან კომპონენტს, ან რომლისთვისაც კომპანიამ პრაქტიკულ გამოცდილებას მიმართა, ფასდება ფასს 15-ით („შემოსავლები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“) განსაზღვრული გარიგების ფასით.

იმისათვის, რომ მოხდეს ფინანსური აქტივის კლასიფიცირება და მოხდეს მისი შეფასება ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, იგი უნდა წარმოქმნიდეს ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს „მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს“ (SPPI) დაუფარავ ძირითად თანხაზე. ამ შეფასებას ეწოდება SPPI-ტესტირება, რომელიც ინსტრუმენტის დონეზე სრულდება.

კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნესის მოდელი ეხება იმას, თუ როგორ მართავს ის თავის ფინანსურ აქტივებს ფულადი ნაკადების მისაღებად. ბიზნესმოდელი განსაზღვრავს, მიიღება თუ არა ფულადი ნაკადები სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების, ფინანსური აქტივების გაყიდვის ან ღირვით შედეგად.

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის შესყიდვის ან გაყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

შემდგომი შეფასება

შემდგომი შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა:

- ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები
- სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით (სასესხო ინსტრუმენტები);
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე;
- რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით.

2.5 ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები

ეს კატეგორია კომპანიისთვის ყველაზე აქტუალურია. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ამ ბიზნესმოდელის მიხედვით ფინანსური აქტივი მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების

ამოღების მიზნით; და

- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდეგ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და ის გაუფასურებას ექვემდებარება. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

კომპანიის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, გაცემულ სესხებს, საბანკო ანგარიშებს მოთხოვნამდე.

2.6 ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ფინანსური რისკები - მე-21 შენიშვნა;
- სავაჭრო მოთხოვნები - მე-10 შენიშვნა;

კომპანია აღიარებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის, რომლებსაც არ აღრიცხავს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულების საფუძველზე ვადადამდგარ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და ყველა ფულად ნაკადს შორის, რომლის მიღებასაც მოვლის კომპანია, თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიახლოების დისკონტირებით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპზე. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

სავაჭრო მოთხოვნებისათვის კომპანია იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამართებულ მეთოდს. შესაბამისად, კომპანია ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ვადაზე, თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის. კომპანიამ შეადგინა რეზერვების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი პერსპექტიული ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო ინსტიტუტებში არსებული თანხებისთვის (ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, საბანკო ანაბრები), კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კომპანია ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 180 დღით გვიანდება. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ კომპანია სავარაუდოდ სრულად ვერ მიიღებს

დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, კომპანიის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოინერგება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ჩამონერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

2.7 აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც მისაღებია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური აქტივების ჯგუფის ნაწილის) აღიარების შეწყვეტა (ანუ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღება) უმეტესად ხდება შემდეგ შემთხვევებში:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლების ვადა, ან
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის მიღებული თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; ან (ა)კომპანიამ გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ)კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან გააფორმა ამაზე ხელშეკრულება, იგი აფასებს, შეინარჩუნა თუ არა მან, ან რამდენად შეინარჩუნა ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული რისკები და სარგებელი. თუ კომპანიამ არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი, და ასევე არ გადასცა აქტივზე კონტროლი, კომპანია აგრძელებს გადაცემული აქტივის აღიარებას ამ აქტივში მისი მონაწილეობის შენარჩუნების გამო. ასეთ შემთხვევაში კომპანია მასთან დაკავშირებულ ვალდებულებასაც აღიარებს. გადაცემული აქტივი და მასთან დაკავშირებული ვალდებულება ფასდება კომპანიის მიერ დატოვებული უფლება-მოვალეობების საფუძველზე.

მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს გადაცემულ აქტივზე ერთგვარი თავდებობის ფორმა, აისახება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

2.8 ფინანსური ვალდებულებები - თავდაპირველი აღიარება და შეფასება

თავდაპირველი შეფასებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული და მოგებასა და ზარალში ასახული ფინანსური ვალდებულებები, სესხები, მოთხოვნები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით და სესხების და მოთხოვნების შემთხვევაში აკლდება მათთან უშუალოდ დაკავშირებული გარიგების დანახარჯები.

კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებას და სესხებს.

ფინანსური ვალდებულებების შემდგომი შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე:

სავაჭრო ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარების შემდეგ სესხების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობის და ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ვალდებულების აღიარების შეწყვეტის შემთხვევაში, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურის თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ცვეთა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ფინანსურ საქმიანობაზე განეული დანახარჯების სახით. ეს კატეგორია, ზოგადად, სესხებს ეხება.

2.9 ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთჩათვლა მოხდება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგადაფარვის იურიდიული უფლება და ურთიერთჩათვლას ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციის და ვალდებულების დაფარვის სურვილი.

2.10 ძირითადი საშუალებები.

პროდუქციის წარმოების, საქონლის მიწოდების ან ადმინისტრაციული მიზნებისთვის გამოყენებული მიწა, შენობები და ნაგებობები ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია გადაფასებული ღირებულებით, რაც შემცირებულია ბოლო გადაფასების შემდეგ დაგროვილი ცვეთით და დაგროვილი გაუფასურების ზარალის (თუკი გაუფასურებას ჰქონდა ადგილი) ღირებულებით. ძირითადი საშუალების გადაფასების დროს, გადაფასების დღისათვის დაგროვილი ცვეთა აკლდება მთლიან საბალანსო ღირებულებას და ნეტო თანხა გადაანგარიშდება აქტივის გადაფასებული თანხით. გადაფასებები დამოუკიდებელ შემფასებელთა მიერ ტარდება ისეთი ინტერვალით, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არსებითად არ განსხვავდებოდეს იმ ღირებულებისაგან რაც მას ექნებოდა პერიოდის ბოლოს, რომ მომხდარიყო მისი რეალური ღირებულებით შეფასება. იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს გარემოებების არსებითად ცვლილებას, რეალური ღირებულება ფასდება ყოველწლიურად. ბოლო გადაფასება განხორციელებულია 2022 წლის 1 იანვრისათვის.

ძირითადი საშუალებების გადაფასებიდან მიღებული შემოსავალი ჩაირთვება სხვა სრულ შემოსავლებში (გარდა იმ შემთხვევისა როდესაც იმავე აქტივთან დაკავშირებული გადაფასების შემცირება წინა პერიოდში უკვე აღიარებული იყო მოგება-ზარალში, ასეთ შემთხვევაში გადაფასების რეზერვის ზრდა მოგება-ზარალზე აღირიცხება წინა პერიოდში შემცირებული თანხის მოცულობით), ხოლო გადაფასების რეზერვი კაპიტალში. საბალანსო ღირებულების შემცირება, რომელიც გამოწვეულია გადაფასებით აღირიცხება მოგება-ზარალში, რადგან საბალანსო ღირებულება აღემატება ძირითადი საშუალების რეალურ ღირებულებას, ხოლო თუ არსებობს წინა პერიოდში ძირითადი საშუალების გადაფასებით წარმოქმნილი რეზერვი ხდება მისი შემცირება. გადაფასების რეზერვის გადატანა ხდება გაუნაწილებელ მოგებაზე, თუ მოხდა მასთან დაკავშირებული ძირითადი საშუალებების გაყიდვა ან სხვა ფორმით მისი აღიარების შეწყვეტა.

ძირითადი საშუალებების სხვა ჯგუფები აღირიცხება თვითღირებულებას დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან გაუფასურების ღირებულება. თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებების ჯგუფი შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს, რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

ძირითადი საშუალება, რომელიც გამოიყენება ძირითადი საქმიანობისთვის, ადმინისტრაციული ან გაქირავებისთვის, ან არის მშენებარე მდგომარეობაში, აღირიცხულია მისი თვითღირებულებასა და გაუფასურების ღირებულებას შორის სხვაობით. თვითღირებულება შეიცავს პირდაპირ ხარჯებს, რომელიც გათვალისწინებულია კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით. სესხებთან დაკავშირებული ხარჯები კაპიტალიზირდება აქტივის ღირებულებაზე კომპანიის პოლიტიკით.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით, მიღებული სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, დაკავშირებული ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან და აღრიცხული დამოუკიდებლად, კაპიტალიზირდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწმებული იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზირდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლება, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში წრფივი მეთოდის საშუალებით, თითოეული აქტივის სასიცოცხლო პერიოდის შეფასების საფუძველზე. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც აქტივი შედის გამოყენებაში. აქტივების სასიცოცხლო პერიოდი შემდეგნაირად ნაწილდება:

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში. თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხდება სასარგებლო მომსახურების ვადის, ნარჩენი ღირებულების და ცვეთის მეთოდების გადახედვა და კორექტირება, აუცილებლობის შემთხვევაში.

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობები	10-45
მანქანა-დანადგარები	10
ავეჯი სხვა საოფისე აღჭურვილობა	5
სატრანსპორტო საშუალებები	7

2.11 არამატერიალური აქტივები.

კომპანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ განსაზღვრული სასიცოცხლო პერიოდი, წარმოდგენილია თვითღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაზე წრფივი მეთოდით 5 წლის გაანგარიშებით.

2.12 სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და მის სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების თვითღირებულების შეფასება ხდება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შეძენის დროს და მათ ამჟამინდელ ადგილას და მათ მდგომარეობაში მოსაყვანად გაწეულ დანახარჯებს.

2.13 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.

მომსახურების განვით და საქონლის მიწოდების შედეგად წარმოშობილი სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. იმ შემთხვევაში, თუ მათი ამოღებადობა ივარაუდება 1 წლამდე ან 1 წლის შემდგომ პერიოდში მაშინ ისინი წარედგინება მოკლევადიან ან გრძელვადიან მოთხოვნებად შესაბამისად.

2.14 გადახდილი ავანსები.

გადახდილი ავანსები აისახება ღირებულებით, მინუს გაუფასურების ანარიცხი. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი, როდესაც გადახდილი ავანსთან დაკავშირებული პროდუქციის, ან მომსახურების მიღება მოსალოდნელია ერთი წლის შემდეგ, ან როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია ისეთ აქტივთან, რომელიც

თავდაპირველი აღიარების დროს გრძელვადიან აქტივად არის კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება მოცემული აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს მოცემულ აქტივთან დაკავშირებული მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა გადახდილი ავანსების ჩამოწერა ხდება მოგებაში, ან ზარალი, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ პროდუქციას, ან მომსახურებას. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივები, პროდუქცია, ან მომსახურება არ იქნება მოწოდებული, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგებაში, ან ზარალში.

2.15 ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები.

ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ექვივალენტებში იგულისხმება ნაღდი ფული, ბანკში განთავსებული დეპოზიტები მოთხოვნამდე და სხვა მოკლევადიანი მაღალ-ლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამი თვე, ან უფრო ნაკლებია. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტებისაგან ფულადი სახსრების ნაკადების ანგარიშგების მიზნებისათვის. ის ნაშთები, რომელთა შეზღუდვაც ხდება, რათა არ მოხდეს მათი გაცვლა, ან ვალდებულების დასაფარავად გამოყენება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვის განმავლობაში აისახება სხვა გრძელვადიან აქტივებში.

2.16 კაპიტალი.

სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, მიუხედავად იმისა, საზოგადოებას მიღებული აქვს თუ არა საზღაური. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული კაპიტალი შეესაბამება აქვს.

2.17 ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები.

ვალდებულებების და ხარჯების ანარიცხები გაურკვეველი ვადის ან ოდენობის არაფინანსური ვალდებულებებია. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე სამართლებრივი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია ეკონომიკურ სარგებელში განივითებული რესურსების გაცვლა აღნიშნული ვალდებულების დაფარვისათვის და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

2.18 სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაქტის ხელმოწერი მგორე მხარე შეასრულებს თავის საკონტრაქტო ვალდებულებებს. მათი ასახვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

2.19 უცხოელ ვალუტაში გადაანგარიშება.

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ის ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, რომელშიც საწარმო ფუნქციონირებს. კომპანიის სამუშაო ვალუტა, ასევე კომპანიის წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა (ქართული ლარი).

ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის სამუშაო ვალუტაში საანგარიშგებო პერიოდის შესაბამის დასასრულს არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობებით განპირობებული შემოსულობა ან ზარალი - რომელიც წარმოიშვა ოპერაციების განხორციელებისა და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის სამუშაო ვალუტაში გადაანგარიშების შედეგად წლის ბოლოს სებ-ის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, - აღიარდება მოგებაში, ან ზარალში როგორც ფინანსური შემოსავალი, ან

ხარჯი. სცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებული არაფულადი მუხლები, მათ შორის წილობრივი ინსტრუმენტი, გადაიანგარიშება იმ გაცვლითი კურსების მიხედვით, რომელიც არსებობდა მათი რეალური ღირებულებით შეფასების დროს. უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე გაცვლითი კურსის ცვლილებების ზეგავლენა აისახება როგორც რეალური ღირებულების შედეგად მიღებული შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2023 წლის 31 დეკემბრისათვის უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების გადასანგარიშებლად გამოყენებული გაცვლითი კურსის ძირითადი განაკვეთებია: 1 აშშ დოლარი = 2.6894 ლარი და 1 ევრო = 2.9753. (2022 წლის 31 დეკემბერს: 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი და 1 ევრო = 2.8844 ლარი).

2.20 ამონაგების აღიარება.

გაყიდული მომსახურების აღიარდება იმ სააღრიცხვო პერიოდში, როდესაც გაწეულ იქნა მომსახურება დაუყოვნებელი აღიარების მეთოდის გამოყენებით. გაყიდვები ნაჩვენებია დღგ-ს და ფასდათმობის გარეშე.

საქონლის რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება, როდესაც კომპანია შეასრულებს შესასრულებელ ვალდებულებებს, ე.ი. მაშინ, როდესაც კონტრაქტი საქონელზე გადაეცემა კლიენტს, როგორც წესი, საქონლის მიწოდების მომენტში. მზა პროდუქციის ან გაყიდვის მიზნით შესყიდული საქონლის კონსიგნაციით გაყიდვის დროს, შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საქონელი გადაეცემა საბოლოო მომხმარებელს, ან გარკვეული ვადის გასვლისას, რომლის განმავლობაშიც საცალო მოვაჭრეს შეუძლია გაუყიდავი საქონლის დაბრუნება. შემოსავალი აღიარდება დასრულებული საქონლის გაყიდვასთან კავშირში, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც კომპანია მოელის ამგვარი საქონლის სანაცვლოდ. გარიგების ფასი ასახავს კლიენტისთვის გადასახდელი ანაზღაურების კორექტირებებს (ფულადი სახსრები, რომელსაც კომპანია უხდის კლიენტს, ან რომელთა კლიენტისთვის გადახდა მოსალოდნელია) და საქონლის მოცულობის გათვალისწინებით განსაზღვრულ ფასდათმობებს. თუ კონკრეტული ხელშეკრულებები კლიენტებს ანიჭებს მითითებულ პერიოდში საქონლის დაბრუნების უფლებას, კომპანია მოსალოდნელი ღირებულების მეთოდს იყენებს დასაბრუნებელი საქონლის შესაფასებლად, რადგან ეს მეთოდი საუკეთესოდ ახდენს კომპანიის მიერ მისაღები ცვლადი საზღაურის პროგნოზირებას.

2.21 დაქირავებულ მომუშავეთა გასამრჯელოები.

გადასახდელი ხელფასები, წლიური შვებულება და ავადმყოფობის გამო შვებულებით სარგებლობა, პრემიები, და სხვა სარგებელი (საკვები, ბინით უზრუნველყოფა, ტრანსპორტირება, და სხვ.) დაირიცხება იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მათთან დაკავშირებული მომსახურების მიწოდებას განახორციელებენ კომპანიის დაქირავებული მომუშავეები. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული, ან კონსტრუქციული ვალდებულება განახორციელოს საპენსიო, ან ანალოგიური სარგებლის გადახდა.

2.22 ფინანსურ ანგარიშგებაში შესწორების შეტანა მისი წარდგენის შემდეგ.

ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შემდეგ მასში ნებისმიერი ცვლილების შეტანა, საჭიროებს კომპანიის იმ ხელმძღვანელობის მიერ ამ ცვლილებების დამტკიცებას, რომელთაც აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება წარსადგენად დაამტკიცეს.

2.23 განთავსებული კაპიტალი

სამეწარმეო საზოგადოების განთავსებული კაპიტალი არის სამეწარმეო საზოგადოების მიერ განსაზღვრული ფულადი ოდენობა, მიუხედავად იმისა, საზოგადოებას მიღებული აქვს თუ არა საზღაური. კომპანიას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განთავსებული კაპიტალი შეესაბამებოდა აქვს.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და სააღრიცხვო პოლიტიკის განხორციელების დროს გამოყენებული განსჯა

კომპანია ახორციელებს შეფასებებს და აკეთებს დაშვებებს, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებსა და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და მსჯელობა მუდმივად ფასდება და ემყარება კომპანიის ხელმძღვანელობის გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალში მოსალოდნელ მოვლენებს, რომელთა მოხდენის დაშვებაც გონივრულად არის მიჩნეული არსებული გარემოებების გათვალისწინებით. აღნიშნული შეფასებების გარდა კომპანიის ხელმძღვანელობა ასევე მიმართავს გარკვეულ განსჯას სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების დროს. განსჯის შედეგად მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებებზე, რომელთაც შესაძლოა განაპირობონ აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. ამგვარი გადაწყვეტილებებია:

3.1 ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საგანია, რომელიც უნდა ეყრდნობოდეს ანალოგიურ აქტივებთან მიმართებით არსებულ გამოცდილებას. აქტივებში განივთებული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება ხდება უმთავრესად მათი გამოყენების მეშვეობით. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა აქტივის ტექნიკური, ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად განაპირობებს აქტივებში განვითარებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. კომპანიის ხელმძღვანელობა აქტივების დარჩენილი მომსახურების ვადას აფასებს მოცემული აქტივების არსებული ტექნიკური მდგომარეობისა და იმ შეფასებული პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ. გათვალისწინება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებსა და ტექნიკური მომსახურების პროგრამაზე; და (გ) საბაზრო პირობებით განპირობებული ტექნიკური, ან კომერციული მოძველება.

3.2 საწარმოს უწყვეტობის პრინციპი. კომპანიის მიმდინარე ფუნქციონირება სრულად დამოკიდებულია დედა კომპანიაზე და სახელმწიფოს მხრიდან დაფინანსებაზე. ჯერ ჯერებოთ მენეჯმენტისათვის არ არის ცნობილი კომპანიის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გეგმები. კომპანია თვლის რომ სახელმწიფო და მისი დედა კომპანია რეორგანიზაციის პროცესის გამოცხადებამდე და შემდგომაც უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსურ მხარდაჭერას და მის შეუფერხებელ ფუნქციონირებას. ამ პირობების გათვალისწინებით, მენეჯმენტი თვლის, რომ „ფუნქციონირების უწყვეტობის“ დაშვება მართებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას.

3.3 2021 წელს მომხდარი უძრავი ქონების ჩუქების ოპერაცია - 2021 კომპანიამ აჩუქა სახელმწიფოს 11,453 ათასი ლარის ნეტო საბალანსო ღირებულების უძრავი ქონება და მასთან დაკავშირებული მოძრავი ქონება. 2022 წელს იმავე თანხაზე განხორციელდა კომპანიის კაპიტალის შემცირება, ისე რომ კომპანიიდან არ გასულა აქტივი ან სხვა სახის ეკონომიური სარგებელი. ამ ოპერაციის სამართლიანად ასახვის მიზნით, კომპანიამ 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჩუქებით გამოწვეული კაპიტალის დეფიციტი ასახა კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებულ სხვა რეზერვებში და 2022 წლის კაპიტალის შემცირება განახორციელა ამ რეზერვის კონვესირების გზით.

4. ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები

2023 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, თუმცა მათ ძალაში შესვლას კომპანიაზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია:

ფასს 17 “სადაზღვევო ხელშეკრულებები” (გაცემულია 2017 წლის 18 მაისს და ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე

დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ ჯგუფის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარუა). მზღვევლები აღიარებენ საღაზღვევო ხელშეკრულებების ჯგუფიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული ჯგუფი ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში შეტანილი ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენა (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე). ბასს 1-ში შეიტანეს ცვლილებები, რომლის მიხედვითაც კომპანიებს მოეთხოვებათ წარმოადგინონ მათი მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია და არა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებულ იქნა მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განმარტება. შესწორებით ასევე განიმარტა, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, მნიშვნელოვანი იქნება, თუ მის გარეშე ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლები ვერ შეძლებენ სხვა მატერიალური ინფორმაციის გაცნობას. შესწორებაში წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც მნიშვნელოვნად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისთვის.

გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არამატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის წარდგენა არ არის საჭირო. თუმცა, თუ ის მაინც წარდგება არ უნდა დაფაროს მატერიალური სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია. ამ შესწორების მხარდასაჭერად IFRS პრაქტიკულ ანგარიშგება 2-ში „მატერიალური გადანაცვებების მიღება“-ში შეიტანეს ცვლილებები, რომ მოცემულიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოვიყენოთ მატერიალურობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარდგენისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებით შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვავონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

ცვლილება ბასს 12 - მოგების გადასახადები - გადავადებული გადასახადი რომელიც დაკავშირებულია ცალკეულ ოპერაციასთან დაკავშირებულ აქტივთან და ვალდებულებასთან. (ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებულ წლიურ პერიოდებზე, ნაადრევი გამოყენება ნებადართულია). სტანდარტი განსაზღვრავს გარკვეულ დამატებით შეღავათებს თავდაპირველი აღიარების მომენტში.

OECD Pillar Two Rules – (გამოქვეყნებისთანავე ძალაშია გარკვეული ახსნა განმარტებების წარდგენისაგან განთავისუფლების გარდა) შეეხება მულტინაციონალურ კომპანიების ეფექტური საგადასახადო განაკვეთის წარდგენას იურისდიქციების მიხედვით.

2023 წლის 30 ივნისს საბჭოს მიერ გამოცემულია გადანაცვებები ქვემოთ მოცემულ საკითხებზე რომლებიც რელევანტურია 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებებთან მიმართებაში თუმცა მათ არ მოუხდენია კომპანიაზე რაიმე სახის გავლენა. ქვემოთ მოცემული გამოცემის თარიღები მიუთითებს საბჭოს (IASB) გადანაცვებების თარიღებს საბჭოს ვებ გვერდის მიხედვით:

გამოცემის თარიღი	საკითხი
2022 წლის ივლისი	დაბალი გამონაბოლქვის მქონე მანქანების ნეგატიური კრედიტი (ბასს 37)
2022 წლის ივლისი	ფინანსურ ვალდებულებად ან კაპიტალად კლასიფიკაცია სპეციალური შემსყიდველ კომპანიებისათვის (ბასს 32)
2022 წლის ივლისი	საღაზღვევო ზღვრების გადაცემა ჯგუფური ანუიტური კონტრაქტების მიხედვით (ფასს 17)
2022 წლის ოქტომბერი	სპეციალური შემსყიდველ კომპანიებისათვის (SPAC): გარანტიების აღრიცხვა შესყიდვისას

გამოცემის თარიღი	საკითხი
2022 წლის ოქტომბერი	მეიჯარის მიერ მოიჯარისათვის ნაპატიები საიჯარო გადახდები (ფასს 9 და ფასს 16)
2022 წლის ოქტომბერი	მულტისავალუტო ჯგუფების სადამღვევო კონტრაქტები (ფასს 17 და ბასს 21)
2023 წლის აპრილი	იჯარის განმარტება - იჯარის ჩანაცვლების უფლება (ფასს 16)

ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული და არც წინასწარ არის დანერგილი:

ჯგუფმა ვადადღე არ მიიღო შესწორებები, რომელიც ძალაშია 2023 წლის 31 დეკემბრის შემდეგ და თვლის, რომ ისინი უმნიშვნელო გავლენას მოახდენენ, მიღების შემდეგ, ჯგუფის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში. ფინანსური პირობების (Covenants) მქონე გრძელვადიანი ვალდებულებები შესწორებები ბასს 1-ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან)
 ვალდებულებების კლასიფიკაცია მიმდინარედ ან გრძელვადიანად - შესწორებები ბასს 1-ში შევიდა 2020 და 2022 წელს. აღნიშნული შესწორებები განმარტავს, რომ ვალდებულებები კლასიფიცირებულია მიმდინარე ან არამიმდინარე ვალდებულებებად, რაც დამოკიდებულია ანგარიშგების პერიოდის ბოლოს არსებულ უფლებებზე. ვალდებულებები არამიმდინარეა იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს აქვს არსებითი უფლება, ანგარიშგების პერიოდის ბოლოს, გადაავადოს ანგარიშსწორება მინიმუმ თორმეტი თვით. ხელმძღვანელობის მოლოდინები ბალანსის შემდეგ თარიღებში (პირობების შესრულების განთავსიუფლებასთან და პირობების დარღვევასთან დაკავშირებით) გავლენას არ ახდენს ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

ფინანსური პირობები არ ახდენს ვალდებულების ვადიანობის მიხედვით კლასიფიკაციაზე თუ პირობების შესაბამისობის მოთხოვნა დგება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ პერიოდში. იმ შემთხვევაში კი როდესაც პირობებთან შესაბამისობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი ბალანსის თარიღისთვის ან უფრო ადრე მაშინ შესაბამისობა ახდენს მიმდინარე და გრძელვადიანი წარდგენის წარდგენის კლასიფიკაციაზე იმის მიუხედავად რომ შესაბამისობის ტესტირება მოხდება მხოლოდ ბალანსის შედგენის შემდეგ.

თუ საწარმო წარადგენს ვალდებულებას გრძელვადიანად და ფინანსური პირობების შესაბამისობა უნდა გაიტესტოს ბალანსის შედგენის შემდეგ 12 თვის პერიოდში მაშინ ცვლილება მოითხოვს ახსნა განმარტების წარდგენას. ახსნა განმარტება უნდა მოიცავდეს:

- ვალდებულების საბალანსო ღირებულებას;
- ფინანსური პირობების დეტალებს;
- ფინანსური პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სირთულეების ამსახველ ფაქტებს და გარემოებებს, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ცვლილება ასევე სპეციფიკურად განმარტავს ვალდებულების დაფარვის მცნებას, როდესაც მეორე მხარეს ოპციით აქვს უფლება დაფარვა მოხდეს კომპანიის საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით. ცვლილება უნდა იქნას გამოყენებული რეტროსპექტიულად ბასს 8 შესაბამისად. სპეციალური დანერგვის მინიმუმები არსებობს თუ კომპანია ადრე დანერგავს სტანდარტს.

საიჯარო ვალდებულება გაყიდვისა და უკუიჯარის პირობებში - ცვლილება ფასს 16 ში. (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან).
 2022 წლის სექტემბერში საბჭომ (IASB) მიიღო ცვლილება ფასს 16 იჯარებში ასახული გაყიდვისა და უკუიჯარის ოპერაციებთან დაკავშირებით. ცვლილება განმარტავს ოპერაციის თაღისათვის ოპერაციის ასახვის დეტალებს. ცვლილების განსაზღვრავ გამოყენებული მოიჯარე მიერ საიჯარო გადახდების განსაზღვრის დეტალებს.

მომწოდებლის ფინანსირების გარიგებები - ცვლილება ბასს 7 და ფასს 7 ში - (ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან). საბჭომ (IASB) გამოუშვა ახალი ახსნა განმარტებათა მოთხოვნებთან დაკავშირებული ცვლილება ბასს 7 და ფასს 7. ცვლილებები

მიზანია დამატებით ინფორმაციის წარდგენა ინვესტორებისათვის მომწოდებელთა ფინანსირების (SFA) გარიგებებთან დაკავშირებით. ახალი ახსნა განმარტებები მოითხოვს ინფორმაციას მომწოდებლების დაფინანსების პირობების შესახებ:

1. იმ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება და მათი წარდგენის დეტალები, რომლებიც დაკავშირებულია ან SFA ნაწილია.
2. ფინანსური ვალდებულების ნაწილი რომლებზეც ფინანსურების უზრუნველყოფელმა მოახდინა გადახდა.
3. გადასახდელი თანხების ზღვარი და ვადიანობა რომელზეც დაკავშირებულია SFA - სთან, და შესადარისი სავაჭრო ვალდებულება რომელიც ამ გარიგების ნაწილი არ არის.
4. შესაბამისი ფინანსური ვალდებულების ცვლილება, რომელიც დაკავშირებულია არაფულად ოპერაციებთან.
5. SFA წვდომა და ლიკვიდურობის რისკი შესაბამისი ფინანსირების უზრუნველყოფებთან.

საბჭოს ათავისუფლებს სუბიექტებს შესადარისი ინფორმაციის წარდგენის მოთხოვნისაგან პირველად დანერგვისას, განთავისუფლება ეხება საწყის ნაშთებსაც.

5. ძირითადი საშუალებები

	მიწა და შენობები	მანქანა- დანადგარე ბი	ავეჯი და სხვა საოფისე აღჭურვილო ბა	სატრანსპორ ტო საშუალებე ბი	დამთავრებ ელი მშენებლობა	სულ
ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	2,343	2,350	256	155	961	6,065
შემოსვლა	-	204	6	-	749	959
კაპიტალში შემოტანა	-	-	-	43	-	43
რეკლასიფიკაცია	552	124	3	-	(679)	-
კაპიტალიდან გატანა	-	-	-	(43)	-	(43)
გასვლა	-	(5)	-	0	(15)	(20)
2022 წლის 31 დეკემბერი	2,895	2,673	265	155	1,016	7,004
შემოსვლა	-	132	13	-	170	315
კაპიტალში შემოტანა	9,159	-	-	46	-	9,205
რეკლასიფიკაცია	20	150	-	-	(170)	-
კაპიტალიდან გატანა	(9,159)	-	-	-	-	(9,159)
გასვლა	-	-	-	-	(7)	(7)
2023 წლის 31 დეკემბერი	2,915	2,955	278	201	1,009	7,358
დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება						
2021 წლის 31 დეკემბერი	-	1,052	162	34	-	1,248
წლის ცვეთა	32	70	42	23	-	167
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	(4)	-	-	-	(4)
2022 წლის 31 დეკემბერი	32	1,118	204	57	-	1,411
წლის ცვეთა	43	155	74	23	-	295
გასვლის შედეგად ელიმინირება	-	-	-	-	-	-
პერიოდის გაუფასურება	-	-	-	-	906	906
2023 წლის 31 დეკემბერი	75	1,273	278	80	906	2,612
საბალანსო ღირებულება						
2021 წლის 31 დეკემბერი	2,343	1,298	94	121	961	4,817
2022 წლის 31 დეკემბერი	2,863	1,555	61	98	1,016	5,593
2023 წლის 31 დეკემბერი	2,840	1,682	-	121	103	4,746

ძირითადი საშუალებების ჯგუფი - მიწები და შენობები შეფასებულია რეალური ღირებულებით 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რომელიც განისაზღვრა დამოუკიდებელი შემფასებლის მიერ. შენობებს და მიწებს კომპანია იყენებს ადმინისტრაციული დანიშნულებით.

ხელმძღვანელობის შეფასებით ადმინისტრაციული შენობა დანიშნულების, მასშტაბის და სხვა მახასიათებლების გამო არ არის სპეციფიკური და საქართველოში მსგავსი აქტივებისთვის არსებობს აქტიური ბაზარი, შესაბამისად რეალური ღირებულება განისაზღვრა საბაზრო მიდგომის პრინციპებზე დაყრდნობით. მიწების შეფასების შემთხვევაში გამოყენებული იყო საბაზრო ოპერაციები. რეალური ღირებულება კლასიფიცირდება როგორც 2 დონე. პერიოდებს შორის შეფასების

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

ტექნიკაში მნიშვნელოვანი ცვლილება არ მომხდარა. რეალური ღირებულების გაზომვა ხდება ზემოთ მოცემული აქტივების ყველაზე მაღალი და საუკეთესო გამოყენების საფუძველზე, რაც არ განსხვავდება მათი რეალური გამოყენებისგან. მიწა და შენობა-ნაგებობები რომ ყოფილიყო წარგენილი ისტორიული ღირებულების საფუძველზე, მათი წმინდა საბალანსო ღირებულებები იქნებოდა: 2,650, 2,639 და 2,185, 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრისა და 2022 წლის 1 იანვრისთვის, შესაბამისად.

6. არამატერიალური აქტივები

	პროგრამები და ლიცენზიები	სულ
ღირებულება		
2021 წლის 31 დეკემბერი	14	14
შემოსვლა	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	14	14
შემოსვლა	1	1
2023 წლის 31 დეკემბერი	15	15
დაგროვილი ამორტიზაცია		
2021 წლის 31 დეკემბერი	4	4
წლის ამორტიზაცია	1	1
2022 წლის 31 დეკემბერი	5	5
წლის ამორტიზაცია	1	1
2023 წლის 31 დეკემბერი	6	6
საბალანსო ღირებულება		
2021 წლის 31 დეკემბერი	10	10
2022 წლის 31 დეკემბერი	9	9
2023 წლის 31 დეკემბერი	9	9

7. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სამშენებლო და სახარჯი მასალები	7,212	4,441	2,146
მზა პროდუქცია	131	131	136
სხვა მარაგები	-	-	-
მარაგების გაუფასურების რეზერვი	(1,771)	(1,771)	(1,771)
სულ მარაგები	5,572	2,801	511

8. საფაქრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
საფაქრო მოთხოვნები	380	318	348
სულ საფაქრო და სხვა მოთხოვნები	380	318	348

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	162	-	8
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკებში	234	1,703	2,214
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	396	1,703	2,222

10. სესხები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
გრძელვადიანი სესხები ლარში	-	857	-
მოკლევადიანი სესხები ლარში	3,228	4,245	-
მოკლევადიანი სესხები აშშ დოლარში	1,210	-	-
გადასახდელი პროცენტები ლარში	917	254	-
გადასახდელი პროცენტები აშშ დოლარში	34	-	-
სულ საფაჯრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	5,389	5,356	-

კომპანიას ყველა სესხი დედა კომპანიისგან აქვს აღებული. ლარში სესხების საპროცენტო განაკვეთებია 12.6 და 13.8, ხოლო დოლარში სესხის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 13.36-ს.

სესხების დაფარვის ვადიანობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ, ცხრილში:

ვალდებულების დაფარვის გრაფიკი:

	31 დეკემბერი, 2023 წ.	31 დეკემბერი, 2022 წ.	31 დეკემბერი, 2021 წ.
<i>დასაფარია შემდეგი პერიოდების განმავლობაში:</i>			
1 წლის განმავლობაში	5,389	4,499	-
1-დან 3 წლამდე ვადაში	-	857	-
სულ სესხები	5,389	5,356	-

ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს სესხების მოძრაობას 2023 და 2022 წლების განმავლობაში:

	2023	2022
1 იანვარი	5,356	-
სესხების აღება	1,215	5,045
სესხების დაფარვა	(1,182)	-
საპროცენტო ხარჯი	636	311
პროცენტის დაფარვა	(636)	-
31 დეკემბერი	5,389	5,356

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. საფაქრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
საფაქრო კრედიტორული დავალიანება	1,020	1,025	1,174
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	126	57	32
სულ საფაქრო და სხვა ვალდებულებები	1,146	1,082	1,206

12. ამონაგები

	2023	2022
საქონლის რეალიზაცია	11,671	2,689
მომსახურების რეალიზაცია	38	10
სხვა შემოსავალი	1	-
სულ ამონაგები	11,710	2,699

2023 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	საქონლის მიწოდება საქართველოს ფარგლებს გარეთ	სულ
საქონლისა და მომსახურების სახეები	176	11,534	11,710
საქონლის გაყიდვა	176	11,496	11,672
მომსახურების გაწევა	-	38	38
ხელშერკულების ხანგრძლივობა	176	11,534	11,710
მოკლევადიანი	176	11,534	11,710
გრძელვადიანი	-	-	-
საქონლის გადაცემისა და მომსახურების გაწევის ვადები	176	11,534	11,710
დროის გარკვეულ მომენტში	176	11,534	11,710
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	176	11,534	11,710

2022 წელი

შემოსავლები კატეგორიების მიხედვით	საქონლის მიწოდება საქართველო	საქონლის მიწოდება საქართველოს ფარგლებს გარეთ	სულ
საქონლისა და მომსახურების სახეები	54	2,645	2,699
საქონლის გაყიდვა	54	2,635	2,689

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

მომსახურების განწევა	-	10	10
ხელშერკულების ხანგრძლივობა	54	2,645	2,699
მოკლევადიანი	54	2,645	2,699
გრძელვადიანი	-	-	-
საქონლის გადაცემისა და მომსახურების გაწევის ვადები	54	2,645	2,699
დროის გარკვეულ მომენტში	54	2,645	2,699
სულ შემოსავალი რეალიზაციიდან	54	2,645	2,699

13. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

	2023	2022
ხელფასის ხარჯი	2,410	2,375
საპენსიო ხარჯი	36	40
სულ ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	2,446	2,415

14. სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)

	2023	2022
სხვა (ნეტო)	18	(30)
სულ სხვა მოგება/(ზარალი) (ნეტო)	18	(30)

15. გაუთვალისწინებელი მოვლენები და ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად, საქმიანობის ჩვეულებრივი წარმოებისას, კომპანიის წინააღმდეგ შესაძლოა შეტანილ იქნეს სარჩელები. საკუთარი შეფასებებებსა და როგორც შიდა, ასევე გარე პროფესიულ რჩევებზე დაყრდნობით, ხელმძღვანელობის მოსაზრებაა, რომ მნიშვნელოვანი ზარალი არ მიადგება კომპანიას სარჩელების გამო და ამდენად, წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის წარმოდგენილი შესაბამისი ანარიცხები.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა იძლევა სხვადასხვა ინტერპრეტაციის შესაძლებლობას და მასში ხშირად ხდება ცვლილებების შეტანა. კომპანიის მიერ განხორციელებულ ოპერაციებთან და საქმიანობასთან მიმართებით ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებულ კანონმდებლობის ინტერპრეტაციასთან დაკავშირებით შესაძლოა შეკითხვები გაუჩნდეთ შესაბამის უფლებამოსილ ორგანოებს. საქართველოს საგადასახადო ორგანოები შესაძლოა უფრო დამატებით და დახვეწილ მიდგომას იყენებენ კანონმდებლობის ინტერპრეტაციისას და საგადასახადო შემონეშების დროს. ასევე შესაძლებელია, რომ იმ ოპერაციებისა და საქმიანობების მიმართ, რომელთა მიმართაც ადრე არ ჰქონიათ შეკითხვები, ახლა გაჩნდეს შეკითხვები. შედეგად, შესაძლოა განისაზღვროს დამატებითი გადასახადები, საურავები და საპროცენტო განაკვეთები.

გარემოსდაცვითი საკითხები. საქართველოში გარემოსდაცვითი საკითხების მარეგულირებელი კანონების განხორციელება ვითარდება და მუდმივად ხდება სახელმწიფო ორგანოების პოზიციის გადასინჯვა ამ ასპექტით. კომპანია პერიოდულად ახორციელებს მისი ვალდებულებების, რომლებიც გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი

მარეგულირებელი წესებით, შეფასებას. ვალდებულებების დადგენისთანავე, დაუყოვნებლივ ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებები, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას არსებული მარეგულირებელი წესების, სამოქალაქო დავების ან კანონმდებლობის შედეგად, შეუძლებელია შეფასდეს, მაგრამ ისინი შესაძლოა მნიშვნელოვანი იყოს. მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, აღსრულების გარემოს გათვალისწინებით, ხელმძღვანელობას მიჩნია, რომ არ არსებობს მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოსადმი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად.

16. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი შეიცავს საბაზრო რისკს მათ შორის სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკის შეზღუდვების დადგენა და შემდგომ მისი უზრუნველყოფა, რომ რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარება ამ შეზღუდვებს არ გასცდეს. საოპერაციო და სამართლებრივი რისკის ფაქტორების მართვის ფუნქციები განკუთვნილია შიდა პოლიტიკის და პროცედურების სათანადოდ ფუნქციონირების მიზნით, საოპერაციო და სამართლებრივი რისკების შესამცირებლად.

საკრედიტო რისკი. კომპანიას აქვს საკრედიტო რისკი. ეს არის რისკი, როდესაც ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარე ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად გამოიწვევს მეორე მხარის ფინანსურ ზარალს. ამგვარი საკრედიტო რისკი წარმოიქმნება კომპანიის მიერ კონტრაგენტისათვის მომსახურების მიყიდვისას და აგრეთვე სხვა ოპერაციების შემთხვევაში, რომელთა შედეგადაც წარმოიქმნება ფინანსური აქტივები.

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი აქტივების ჯგუფების მიხედვით:

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება			
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	380	318	348
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	396	1,703	2,222
სულ მაქსიმალური დაქვემდებარება საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი	776	2,021	2,570

აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგამოქცეოთვის ზეგავლენა პოტენციური საკრედიტო რისკის ფაქტორისადმი დაქვემდებარების შემცირების მიზნით, უმნიშვნელოა.

ფინანსური რისკის მართვის პოლიტიკის დეტალები ფინანსური აქტივების მიხედვით მოცემულია ქვემოთ:

საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე - საბანკო ანგარიშებზე განთავსებული თანხების საკრედიტო რისკები იმართება მათი ისეთ საბანკო დანებებულებაში განთავსებით რომლებიც ზოგადად კარგად ცნობილია საქართველოში. ბანკების სტატუსი მონიტორინგი უტარდება რეგულარულად. კომპანიის შეფასებით საბანკო ანგარიშებთან დაკავშირებული საკრედიტო ზარალი ნოლის ტოლია ყველა საანგარიშგებო თარიღისათვის და არც ერთი მათგანი არ არის ვადაგადაცილებული.

დებიტორული დავალიანება - გამოყენებულია ფასის 9 ფინანსური ინსტრუმენტები სტანდარტით განსაზღვრული გამარტივებული მიდგომა მოსაღონო საკრედიტო ზარალის გაანგარიშების მიზნით, რომლის მიხედვით სავაჭრო დებიტორებისათვის საკრედიტო ზარალის გაანგარიშდება ინსტრუმენტის არსებობის მთელ პერიოდზე. მოსაღონო ზარალი შეფასებული ინდივიდუალურად თითოეული კონტრაგენტისათვის და ეყრდნობა საკრედიტო ზარალის, გაყიდვებისა და გადახდების ისტორიულ მონაცემებს დებიტორების გვარობიდან გამომდინარე ისტორიული ზარალების მონაცემები არ არის ჩასწორებული მიმდინარე და საპროგნოზო და მაკროეკონომიკული ტენდენციებით რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდეს ზოგადად დებიტორების ამოღებადობაზე. ამ პრინციპით გაანგარიშებული საეჭვო ვალების რეზერვი მოცემულია ქვემოთ ცხრილებში:

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
 (თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

2023 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვ ნამდე	30 დღემდე ვადაგადა ცილება	30-90 დღე ვადაგადა -ცილება	90-180 დღე ვადაგადა -ცილება	180 დღიდან 1 წლამდე ვადაგადა -ცილება	1 წელზე მეტი ვადაგადა -ცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	83	-	-	297	-	380
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	396	-	-	-	-	-	396
სულ ფინანსური აქტივები	396	83	-	-	297	-	776
ნეტო ფინანსური აქტივები	396	83	-	-	297	-	776

2022 წლის 31 დეკემბრისთვის:

	მოთხოვ ნამდე	30 დღემდე ვადაგადა ცილება	30-90 დღე ვადაგადა -ცილება	90-180 დღე ვადაგადა -ცილება	180 დღიდან 1 წლამდე ვადაგადა -ცილება	1 წელზე მეტი ვადაგადა -ცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	20	-	-	-	298	318
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	1,703	-	-	-	-	-	1,703
სულ ფინანსური აქტივები	1,703	20	-	-	-	298	2,021
ნეტო ფინანსური აქტივები	1,703	20	-	-	-	298	2,021

2022 წლის 1 იანვრისთვის:

	მოთხოვ ნამდე	30 დღემდე ვადაგადა ცილება	30-90 დღე ვადაგადა -ცილება	90-180 დღე ვადაგადა -ცილება	180 დღიდან 1 წლამდე ვადაგადა -ცილება	1 წელზე მეტი ვადაგადა -ცილება	ჯამი
სავაჭრო დებიტორული დავალიანება	-	6	-	-	-	342	348
საბანკო ნაშთები მოთხოვნამდე	2,222	-	-	-	-	-	2,222
სულ ფინანსური აქტივები	2,222	6	-	-	-	342	2,570
ნეტო ფინანსური აქტივები	2,222	6	-	-	-	342	2,570

საბაზრო რისკი. კომპანია ჯგუფი იღებს საბაზრო რისკებს. საბაზრო რისკები წარმოიქმნება ღია პოზიციების გამო: (ა) უცხოურ ვალუტებში, (ბ) პროცენტთან აქტივებსა და ვალდებულებებში და (დ) ლიკვიდურობის რისკი პროდუქტების მხრივ, რომელთაგან ყველა ექვემდებარება ზოგად და სპეციფიკურ საბაზრო ცვლილებებს. ხელმძღვანელობა განსაზღვრავს მისაღები რისკის მოცულობის შეზღუდვებს, რომლის მონიტორინგიც ხდება ყოველდღიურად. თუმცა, ამ მიდგომის გამოყენებით თავიდან არ იქნება აცილებული ის დანაკარგები, რომელიც ამ შეზღუდვების მიღმა იმ შემთხვევაში, თუ ადგილი ექნება უფრო მნიშვნელოვან საბაზრო ცვლილებებს.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განისაზღვრება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება მერყევი იქნება სავალუტო კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას გააჩნია უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარკვეული ოპერაციები. კომპანია არ იყენებს არანაირ დერივატივებს სავალუტო რისკის მართვისთვის. ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას:

	31.12.2023 აშშ დოლარი	31.12.2022 აშშ დოლარი	31.12.2021 აშშ დოლარი
ფინანსური აქტივები			
წმინდა საფაქრო მოთხოვნები	328	298	342
ფული და ფულის ეკვივალენტები	234	1,703	2,214
სულ	562	2,001	2,556
ფინანსური ვალდებულებები			
საფაქრო და სხვა ვალდებულებები	1,011	1,016	1,165
სესხები	1,210	-	-
სულ	2,221	1,016	1,165
წმინდა სავალუტო პოზიცია	(1,659)	985	1,391

კომპანია სავალუტო რისკის მგრძნობელობას ანგარიშობს შესაბამისი უცხოური ვალუტების ლართან მიმართებაში 20%-ით გაზრდაზე და შემცირებაზე. 20% არის მგრძნობიარობის განაკვეთი, რომელიც გამოიყენება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სავალუტო რისკის შიდა კონტროლისთვის და წარმოადგენს სავალუტო კურსის სხვაობის შეფასებას კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ. მგრძნობელობის ანალიზი მოიცავს მხოლოდ უცხოურ ვალუტაში გამოხატულ დაუფარავ ფულად მუხლებს და აკორექტირებს მათ გადაფასებას პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიხედვით. ქვემოთ მოცემული ცხრილი გვიჩვენებს უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებას:

	აშშ დოლარი/ ლარი + 20%	აშშ დოლარი/ ლარი - 20%
მოგება/(ზარალი) 2023	(332)	332
მოგება/(ზარალი) 2022	197	(197)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები იმერყევებს საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიის 2023 და 2022 წლის ბოლოს გააჩნია სესხი ღვდა კომპანიის მიმართ, რომელიც ფიქსირებულ პროცენტთანაა. ამრიგად, ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ კომპანიას არ აქვს ბაზარზე საპროცენტო განაკვეთის ცვლილების შედეგად ფულადი ნაკადების მნიშვნელოვანი რისკი. კომპანიას არ გააჩნია ოფიციალური პოლიტიკა და

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის

(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

პროცედურები საპროცენტო განაკვეთების რისკების სამართავად, თუმცა, ახალი სესხების გაცემის, ან სესხით სარგებლობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსჯის ფიქსირებული განაკვეთი ჯობია კომპანიისათვის გადახდის მოსალოდნელი პერიოდის გათვალისწინებით თუ ცვლადი განაკვეთი. ფიქსირებული განაკვეთებით აღებული და გაცემული სესხების პირობებში, კომპანია ექვემდებარება საბაზრო საპროცენტო განაკვეთის ცვალებადობით გამოწვეულ სამართლიანი ღირებულების რისკს.

ლიკვიდრობის რისკის მართვა. ლიკვიდრობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ ასრულებს გადახდის ვალდებულებას, მაშინ როდესაც მას უწევს გადახდა განრიგის მიხედვით. ამ რისკის კონტროლისათვის, მენეჯმენტი ადგენს მომავალი ფულადი ნაკადების გეგმას. კომპანია გეგმავს ვალდებულებების დაფარვას საოპერაციო ფულადი შემოდინებებისაგან.

ლიკვიდრობის რისკის ცხრილი. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია პირველადი ფინანსური ვალდებულებები ხელშეკრულების ამონაწერამდე. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ეყრდნობა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებულ ფულის ნაკადებს:

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,020	-	-	-	1,020
სესხები	4,438	-	-	-	4,438
სულ 31.12.2023	5,458	-	-	-	5,458

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,025	-	-	-	1,025
სესხები	-	4,245	857	-	5,102
სულ 31.12.2022	1,025	4,245	857	-	6,127

2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ფინანსური ვალდებულებების გადახდის ვადების ანალიზი შემდეგია:

	6 თვეზე ნაკლები	6 თვიდან 1 წლამდე	1 - 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,174	-	-	-	1,174
სესხები	-	-	-	-	-
სულ 31.12.2022	1,174	-	-	-	1,174

კაპიტალის მართვა. კომპანიის კაპიტალის მართვის ამოცანებია უზრუნველყოს კომპანიის, როგორც ფუნქციონირებადი საწარმოს, ფუნქციონირება, რათა დამფუძნებლებმა მიიღონ უკუგება, ხოლო სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა – სარგებელი, და შენარჩუნდეს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შემცირდეს კაპიტალური ხარჯები. კაპიტალის

სტრუქტურის შენარჩუნების, ან კორექტირების მიზნით, კომპანიამ შესაძლოა მოახდინოს დივიდენდების ოდენობის შემცირება, დაუბრუნოს ან გაზარდოს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები ვალის შესამცირებლად.

კომპანიის მიდგომა კაპიტალის მართვის მიმართ არ შეცვლილა მიმდინარე წლის განმავლობაში.

კომპანიას არ აქვს გარეშე პირებთან ნაკისრი ვალდებულება, რომელიც ეხება კაპიტალის სტრუქტურას ან ფინანსური კოეფიციენტების უზრუნველყოფას.

17. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა (საბანკო ანგარიშები, მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებების (მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანება) საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამთვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. სავარაუდო სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მოსალოდნელი ფულადი სახსრების ნაკადების მიხედვით, რომელიც დისკონტირებულია მიმდინარე საპროცენტო განაკვეთების მეშვეობით, რომელთაც ანალოგიური საკრედიტო რისკი და დარჩენილი დაფარვის ვადა გააჩნია (მესამე ღონის ამოსავალი მონაცემები ფასს 13 - რეალური ღირებულების შეფასება). ფინანსური დავალიანებების საბალანსო თანხები უახლოვდება რეალურ ღირებულებებს.

18. ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

შეფასების მიზნებისთვის ფინანსური აქტივები ოთხ კატეგორიად იყოფა: ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები (სასესხო ინსტრუმენტები); სხვა სრულ შემოსავალში ასახვით რეალური ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციით; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, აღიარების შეწყვეტისას, კუმულატიური (დაგროვებითი) შემოსულობისა და ზარალის ხელახალი კლასიფიკაციის გარეშე; რეალური ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოგებასა და ზარალში ასახვით. კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი გაერთიანებულია ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივებში. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ამ ფინანსური აქტივის ჩაშლა საბალანსო მუხლების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
წმინდა სავაჭრო მოთხოვნები	380	318	348
ფული და ფულის ეკვივალენტები	396	1,703	2,222
სულ ფინანსური აქტივები	776	2,021	2,570
ფინანსური ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,020	1,025	1,174
მიღებული სესხები	5,389	5,356	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	6,409	6,381	1,174

19. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

როგორც წესი, მხარეები დაკავშირებულ მხარეებად მიიჩნევა, თუ მხარეები საერთო კონტროლის ქვეშ არიან, ან თუ ერთ მხარეს გააჩნია მეორე მხარის კონტროლის, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენის შესაძლებლობა, ან თუ არსებობს მესამე მხარეზე ერთობლივი კონტროლი ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღების დროს.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

თითოეული შესაძლო დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის მფლობელია საქართველოს სახელმწიფო. სხვა სახელმწიფო კომპანიები და სამთავრობო დაწესებულებები კომპანიისთვის დაკავშირებული მხარეები არიან. კომპანია იყენებს ბასს 24-ის 25-ე პარაგრაფით განსაზღვრულ შეღავათს, არ წარადგენს დაკავშირებულ მხარეებთან, სახელმწიფო კომპანიებთან და სხვა სახელმწიფო სტრუქტურებთან ტრანზაქციებსა და ნაშთებს.

	31.12.2023	31.12.2022	01.01.2022
ნაშთები:			
მიღებული სესხები	5,389	5,356	-
საწესდებო კაპიტალი	4,518	4,472	15,931
კაპიტალის მოძრაობასთან დაკავშირებული სხვა რეზერვები	-	-	11,459
ოპერაციები:			
სესხის აღება	1,214	5,045	-
სესხის გადახდა	1,818	-	-
საპროცენტო ხარჯი	640	311	-
მენეჯმენტის ხელფასები და ბონუსები			
ხელფასები და ბონუსები (ავანსად გადახდილი)	-	15	8
ხელფასები და ბონუსები (ხარჯი)	317	299	

20. პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

2024 წლის ივლისში კომპანიამ თავისი დედა კომპანიისაგან აიღო დამატებითი სესხი 1,136 ათასი ლარის ოდენობით.

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე კომპანიის განთავსებული კაპიტალი გაიზარდა და შეადგინა 5,628 ათასი.

გარდა ზემოთ ნახსენები მოვლენებისა, 2023 წლის 31 დეკემბრის შემდგომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე არ მომხდარა სხვა ისეთი მოვლენა, რომელიც მოითხოვს დამატებით კორექტირებას ან ახსნა-განმარტებას ფინანსურ ანგარიშგებაში:

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 ოქტომბერს. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს, შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის
მმართველობითი ანგარიშგება/საქმიანობის მიმოხილვა

მმართველობითი ანგარიშგება

1. კომპანიის შესახებ

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა 1995 წლის 23 მაისს საქართველოს კანონმდებლობის და დებულებების შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია - ქავთარაძის ქუჩა N21, თბილისი, საქართველო.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 100%-იანი წილის მმართველი არის შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“, რომლის საბოლოო მაკონტროლებელ მხარეს წარმოადგენს სახელმწიფო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროს წარმოადგენს იზოტოპების წარმოება. დამატებით, კომპანია ახორციელებს ანალიტიკურ მომსახურებას, რომელიც გულისხმობს შუალედურ და მზა პროდუქტში იზოტოპური შემადგენლობის განსაზღვრას მას-სპექტრომეტრული მეთოდით. ცენტრის მიერ წარმოებული პროდუქციის და სერვისების მომხმარებლები ძირითადად მედიცინის, ბიოთექნოლოგიების, მიკროელექტრონიკის და სოფლის მეურნეობის სექტორების წარმომადგენლები არიან.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანიის დირექტორი არის ვახტანგ ბეთლემიძე.

2. კომპანიის განვითარების გეგმები

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ არის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად, საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. მისი იურიდიული მისამართია: თბილისი, საქართველო, ქავთარაძის 46.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა ქიმიური წარმოება. კომპანიის საქმიანობა, განსაკუთრებით, ბოლო წლებში, დიდი კონკურენციის პირობებში მიმდინარეობს და შესაბამისად, კომპანია განვითარების მუდმივ პროცესშია. დღევანდელი მდგომარეობით, კომპანიას გააჩნია საკუთარი ნიშა და კონკრეტულ სეგმენტზე ორიენტირებული. სამომავლოდ იგეგმება ამ კონკრეტულ სეგმენტზე ოპერირების კიდევ უფრო მეტად გამყარება და გაფართოება.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც გააჩნიათ განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები. იურიდიული, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, მაგრამ ექვემდებარებიან სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ხშირ ცვლილებებს, რომლებიც, სხვა სამართლებრივ და ფისკალურ დაბრკოლებებთან ერთად, დამატებით გამოწვევებს უქმნიან საქართველოში მოქმედ ურიდიულ პირობებს.

კომპანია განთავსებულია 42,356 კვ.მ მიწის ფართობზე. ვანარმოებთ ბორ ნახშირბადის კაზმს და ასევე, ვწევით ანალიტიკურ მომსახურებას სხვა კომპანიებთან.

3. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევებისა და მისი განვითარების მიმოხილვა

გარდა საწარმოო ტექნოლოგიური კვლევებისა, კომპანიას სპეციფიკური კვლევები არ უწარმოებია.

4. ინფორმაცია კომპანიის ფილიალების საქმიანობის შესახებ

კომპანიას არ გააჩნია ფილიალები.

5. რისკებისა და გაურკვევლობების ამომწურავი ანალიზი

ფინანსური რისკების ანალიზი მოცემულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებით შენიშვნა 16, ფინანსური რისკების გარდა სხვა რისკების ანალიზი კომპანიაში არ ჩატარებულა.

6. საკუთარი აქციების შეძენის შესახებ ინფორმაცია

კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

7. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, გარდა მართველობით ანგარიშგებაში მოცემული დამატებითი ინფორმაციისა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

8. მართველობითი ანგარიშგების დამტკიცება

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 ოქტომბერს.

ვახტანგ ბეთლემიძე
გენერალური დირექტორი

ირინა ჩაგელიშვილი
ბუღალტერი

თარიღი : 25 ოქტომბერი, 2024 წელი

შპს „საქართველოს მაღალი ტექნოლოგიების ეროვნული ცენტრი“ მმართველობით ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და ამ თარიღით დასრულებული წლისთვის
(თანხები მოცემულია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)


კომპანია არ ვაჭრობს საკუთარი აქციებით.

7. ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი ახსნა განმარტებები

კომპანიის აქტივების და ვალდებულებების, შემოსავლების და ხარჯების ახსნა განმარტებითი შენიშვნები მოცემულია ფინანსურ ანგარიშგებაში. კომპანიის მენეჯმენტი თვლის რომ, გარდა მართველობით ანგარიშგებაში მოცემული დამატებითი ინფორმაციისა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს არ ჭირდება დამატებითი ახსნა განმარტებები.

8. მართველობითი ანგარიშგების დამტკიცება

2023 წლის 31 დეკემბრისათვის და ამ თარიღით დასრულებული წლისათვის მართველობითი ანგარიშგება დამტკიცებულია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2024 წლის 25 ოქტომბერს.



ვახტანგ ბეთლემიძე

გენერალური დირექტორი



ირინა ჩაგელიშვილი

ბუღალტერი

თარიღი : 25 ოქტომბერი, 2024 წელი

About Baker Tilly

Baker Tilly is a full-service accounting and advisory firm that offers industry specialised services in assurance, tax and advisory.

Baker Tilly Georgia LLC trading as Baker Tilly is a member of the global network of Baker Tilly International Ltd., the members of which are separate and independent legal entities.



Contact us

Baker Tilly Georgia LLC
BC Menteshvili Rows
Tbilisi 0105, Georgia
7 Bambis Rigi Street
office@bakertilly.ge
T: +995 032 2 483 999
www.bakertilly.ge